



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მათემატიკა
საბაკალავრო პროგრამა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

14 ივნისი, 2021 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

23.06.2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მათემატიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მათემატიკის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მათემატიკა - 0541
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 23 სექტემბრის # 66 გადაწყვეტილება)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	რომეო გალდავა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი გიორგობიანი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქრისტინე ჩიხლაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგი გიომვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამა ფუნქციონირებს 1933 წლიდან, ხოლო საბაკალავრო პროგრამა “მათემატიკა” აკრედიტებულ რეჟიმში ხორციელდება 2011 წლიდან. პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს, რომელიც მოიცავს:

1. ძირითადი სპეციალობის (major) კომპონენტებს - 180 კრედიტი, მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები -135 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები –20 კრედიტი;

2. დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა – 60 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მათემატიკის ბაკალავრი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 14 ივნისს, ონლაინ რეჟიმში ზუმის პლატფორმის გამოყენებით. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, მათ შორის: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პოტენციურ დამსაქმებელთან. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება განხორციელდა ასევე დისტანციურად, ზუმის პლატფორმის საშუალებით. შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა. დაწესებულებამ თავის მხრივ უზრუნველყო მშვიდი, აკადემიურ გარემოში ვიზიტის პროცესის განხორციელება.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით დადგინდა, რომ:

- პირველი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- მეორე სტანდარტის 2.3 ქვესტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 2.1, 2.2, 2.4, 2.5, 2.6 ქვესტანდარტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მესამე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები
 1. რეკომენდებულია „რიცხვითი ანალიზის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს სასწავლო კურსი „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“;
 2. რეკომენდებულია „საკურსო ნაშრომისთვის“ განისაზღვროს დაშვების წინაპირობა.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
 1. სასწავლო კურსში „ფუნქციონალური ანალიზი 1“ - ტერმინი „სივრცის შევსება“ სასურველია შეიცვალოს ტერმინით „სივრცის გასრულება“;
 2. სასურველია, სასწავლო კურსებში „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა 1, 2“ პრაქტიკულ მეცადინეობებზე ამოცანების ამოსახსნელად განხილულ იქნას ექსელის (Excel) სტატისტიკური პაკეტი.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

2011 წლიდან პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები, კერძოდ:

- სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურად გაიწერა სწავლა-სწავლების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები; პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები მოყვანილ იქნა შესაბამისობაში ეროვნული კვალიფიკაციების განახლებულ ჩარჩოსთან;
- განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა.
- გაძლიერდა უცხო ენის კომპონენტი და სასწავლო გეგმას დაემატა “უცხო ენა IV” – 5 კრედიტი;
- სასწავლო გეგმას დაემატა სავალდებულო კომპონენტი „საკურსო ნაშრომი“ – 5 კრედიტი.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადია და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზანს და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის მიზნები მკაფიოდ ასახავს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომელიც მიმართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ; ითვალისწინებს მეცნიერების, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; საჯარო და ხელმისაწვდომია; გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება:

- მათემატიკის ფართო ცოდნა;
- მათემატიკური თეორიებისა და მეთოდების გამოყენების უნარი თეორიული და გამოყენებითი ხასიათის პრობლემების გადასაჭრელად;
- ლოგიკური აზროვნების, კრიტიკული გააზრებისა და ანალიზის, მონაცემების საფუძველზე სწორი დასკვნების გაკეთების უნარი;
- მათემატიკურ საკითხებთან დაკავშირებით წერითი და ზეპირი ფორმით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაციის უნარი.

სხვადასხვა მხარეებთან შეხვედრების შემდეგ დადასტურდა, რომ პროგრამის განვითარებისა და განახლების პროცესში ჩართული იყო განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლები, რომელთა ქმედითი მონაწილეობით განხორციელდა რიგი ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფერო ძალზედ ფართოა, ვინაიდან გულისხმობს მათემატიკური ცოდნის სხვადასხვა დარგში გამოყენების უნარ-ჩვევების დაუფლებას და განვითარებას. ეს მათ ხდის კონკურენტუნარიანად დასაქმების ბაზარზე და აძლევს საშუალებას თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- უნივერსიტეტის მისია;
- საგანმანათლებლო პროგრამა;

• ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. პროგრამის სწავლის შედეგებია: ცოდნა და გაცნობიერება • აყალიბებს მათემატიკის ფუნდამენტურ თეორიებს, პრინციპებს და კონცეფციებს; • აღწერს მათემატიკის ისტორიული განვითარების ეტაპებს და თანამედროვე მეცნიერულ, ტექნოლოგიურ აზროვნებაზე მათემატიკის ზეგავლენის ზოგიერთი ასპექტს. უნარი • იყენებს მათემატიკური დებულებებს, პრინციპებსა და მეთოდებს ამოცანების ამოსახსნელად; • ახდენს ლოგიკურ მათემატიკურ მსჯელობას მოცემულობების, დაშვებების და დასკვნების მკაფიო იდენტიფიკაციით. • შეუძლია მათემატიკურ საკითხებთან დაკავშირებით წერითი და ზეპირი ფორმით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია; • ახდენს რეალური სამყაროს რიგი მოვლენების მათემატიკური მოდელირებას. პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა • საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება; • აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროების დადგენის და მისი დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელების უნარი.

ჩამოყალიბებული შედეგები მიღწევადი და რეალისტურია; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას, იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს; პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან თანამშრომლობის სტრატეგია, რომლის ძირითადი დანიშნულებაა პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასება და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია 2020 წლის მაის-ოქტომბრის თვეში შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“, რომლის ერთ-ერთ მიმართულებას შეადგენდა „მათემატიკა“. სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის პირდაპირი შეფასება მოიცავს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, კერძოდ იმ ქულების ანალიზს, რომლებსაც ისინი აგროვებენ გამოცდების შედეგად, ასევე სხვადასხვა სახის აქტივობებით, რომელთა შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები სასწავლო კურსის სილაბუსებში არის აღწერილი. შეფასების არაპირდაპირ მეთოდები გულისხმობს შემდეგ აქტივობებს: • სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის მონაცემთა ანალიზი და შეფასება; • აკადემიური მოსწრების ანალიზი; • სტუდენტთა გამოკითხვა, სასწავლო პროცესის, ლექტორ-მასწავლებლებისა და ზოგადად საუნივერსიტეტო გარემოს შეფასების მიზნით; • აკადემიური პერსონალის გამოკითხვა და ანალიზი; • კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დასაქმების ანალიზი; • დამსაქმებელთა გამოკითხვა და შრომითი ბაზრის ანალიზი. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის განსაზღვრულია სამიზნე ნიშნულები. კერძოდ, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნულად დადგინდა სტუდენტთა საერთო რაოდენობის 60%-ის მიერ სხვადასხვა სახის აქტივობით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 60 %-ის მიღწევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა სილაბუსები; • პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა; • კურიკულუმის რუკა; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; • შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)

- შეიცვალა და განახლებული მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა; განახლდა სასწავლო კურსების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი; განახლდა სწავლის შედეგების რეკა.

შეფასება

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მათემატიკის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი-ატესტატი და ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები; - ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. - გარე და შიდა მობილობა მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი. სათანადო ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრის (NAEC) ვებ გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - საგანმანათლებლო პროგრამა; - უნივერსიტეტის ვებგვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები; - ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ (აწსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის დადგენილება #49) შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის შინაარსი შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს და ითვალისწინებს დაშვების წინაპირობას. კურიკულუმი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისგან, რომლებშიც ასახულია დარგის თანამედროვე ტენდენციები და გამოყენებულია უახლესი სასწავლო მასალები და რესურსები.

საბაკალავრო პროგრამის მოცულობა შეადგენს 240 კრედიტს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

1. ძირითადი სპეციალობის (major) კომპონენტებს - 180 კრედიტი, მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები - 135 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები - 25 კრედიტი;
- ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;

2. დამატებითი სპეციალობის (Minor) პროგრამა - 60 კრედიტი.

დამატებითი (Minor) პროგრამის არჩევა ხდება მესამე სემესტრიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი დამატებითი პროგრამებიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA - აწსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება 49(17/18), 9 თებერვალი, 2018 წ.“;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება საბაკალავრო საფეხურისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კრედიტების რაოდენობა განსაზღვრულია მისი შინაარსის, მისაღწევი შედეგებისა და დატვირთვის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შინაარსისა და სწავლის შედეგებიდან გამომდინარე კურსებში განსაზღვრულია სწავლა-სწავლების მეთოდები. კურსის სწავლების შედეგების შეფასება მოცემულია კურსის სილაბუსებში და მოიცავს შეფასების კომპონენტებს. ცოდნისა და უნარების კომპეტენციების მიღწევა უზრუნველყოფილია თითოეული სასწავლო კურსისათვის განსაზღვრული უახლესი ლიტერატურითა და სასწავლო რესურსებით, რომლებიც წარმოადგენს სფეროსათვის აქტუალურ, რელევანტურ, თანამედროვე ტენდენციებისა და მიღწევების ამსახველ მასალას. სასწავლო კურსების წინაპირობებთან დაკავშირებით გამოიკვეთა გარკვეული მოსაზრებები: • „რიცხვითი ანალიზის“ სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე რეკომენდებულია, რომ აღნიშნულ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს სასწავლო კურსი „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“; • სასწავლო გეგმიდან და სილაბუსიდან გამომდინარე გაურკვეველია „საკურსო ნაშრომზე“ დაშვების წინაპირობა. შესაბამისად, რეკომენდებულია აღნიშნული კომპონენტისათვის განისაზღვროს დაშვების წინაპირობა. • სასწავლო კურსში „ფუნქციონალური ანალიზი 1“ - ტერმინი „სივრცის შევსება“ სასურველია შეიცვალოს ტერმინით „სივრცის გასრულება“; • სასწავლო კურსებში „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა 1,2“

პრაქტიკულ მეცადინეობებზე ამოცანების ამოსახსნელად განხილულ იქნას ექსელის (Excel) სტატისტიკური პაკეტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • კურიკულუმის რუკა; • სილაბუსებში ასახული სასწავლო მასალა/რესურსი • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია „რიცხვითი ანალიზის“ სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობად დამატებით განისაზღვროს სასწავლო კურსი „წრფივი ალგებრა და ანალიზური გეომეტრია“; • რეკომენდებულია „საკურსო ნაშრომისთვის“ განისაზღვროს დაშვების წინაპირობა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასწავლო კურსში „ფუნქციონალური ანალიზი 1“ - ტერმინი „სივრცის შევსება“ სასურველია შეიცვალოს ტერმინით „სივრცის გასრულება“; • სასურველია, სასწავლო კურსებში „ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა 1, 2“ პრაქტიკულ მეცადინეობებზე ამოცანების ამოსახსნელად განხილულ იქნას ექსელის (Excel) სტატისტიკური პაკეტი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას სხვადასხვა პროექტებში. თეორიული მასალის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ სტუდენტები ასრულებენ სხვადასხვა სახის პრაქტიკული ხასიათის ამოცანებს მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებებიდან. სწავლების მერვე სემესტრში სტუდენტებმა უნდა შეასრულონ საკურსო ნაშრომი, რომელიც შემაჯამებელი ფორმით ახდენს სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი და შემოქმედებითი

უნარების გამოვლინებას. მასთან ამ ნაშრომის შესრულების დროს სტუდენტი იძენს საკუთარი საქმიანობის ეთიკის ნორმების დაცვითა და კვლევითი მუშაობის დამოუკიდებლად წარმართვის უნარ ჩვევების ელემენტებს. ამავე დროს სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში (2005 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოველწლიურ კონფერენციებში, 2020 წელს გაიმართა online რეჟიმში), სასკოლო მათემატიკური ოლიმპიადების მომზადებაში, თანამედროვე მათემატიკური მიღწევების გაცნობისათვის ჩასატარებელ ღონისძიებებში. აღსანიშნავია, აგრეთვე, 2017 წელს ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში მათემატიკის სტუდენტთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მონაწილეობა. სტუდენტთა ტრანსფერული უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული აგრეთვე კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივები, რომლებიც ვლინდება სტუდენტთა მონაწილეობით განხორციელებულ სხვადასხვა კულტურული, ინტელექტუალური, სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიებების მხარდაჭერაში. უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტური სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერის ტრადიცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • უნივერსიტეტში ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი მასალა; • სტუდენტური კონფერენციის პროგრამები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების პროცესი მიმდინარეობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის შერჩეულია რელევანტური სწავლება-სწავლის მეთოდები, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის/კომპონენტის შინაარსთან, მიზნებთან და შესაძლებელს ხდის კურსით/კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი, მათ შორის: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეთოდები, დისკუსია/დებატები, ანალიზი და სინთეზი, დემონსტრირების მეთოდი, ელექტრონული სწავლების ელემენტები და სხვ. აღნიშნული მეთოდები მითითებულია შესაბამისი სილაბუსებში. სტუდენტთა განსხვავებული მოთხოვნებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. მსგავსი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სტუდენტთა განსხვავებულ მოთხოვნებს, მათ აკადემიურ მომზადებასა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს, მოქნილ სასწავლო გეგმას, სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებსა და პირობებს. ამავე მიზნებისთვის გამოიყენება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები ლექტორებთან, რომელიც შეიძლება დაინიშნოს წინასწარ, შეხვედრების საათების ფარგლებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საბაკალავრო პროგრამა; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის დადგენილება # 30 (17-18) – „სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტუდენტების ცოდნის შეფასება ხდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემით. გაწერილია შეფასების კრიტერიუმები და

ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. შეფასების პროცედურები არის სამართლიანი, გამჭვირვალე და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. შეფასების კონკრეტული კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას, შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს და განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსით.

სტუდენტებისათვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები. შეფასების პროცესით უზრუნველყოფილია სტუდენტის ინფორმირება შეფასების შედეგების, საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეების თაობაზე. შეფასების წესით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, ქვიზი, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

უნივერსიტეტში მოქმედი ელექტრონული დეკანატის გამართული სისტემა ხელს უწყობს სწავლის პროცესის ადმინისტრირებას. სტუდენტს საშუალება აქვს მუდმივად აკონტროლოს საკუთარი პროფილი, სასწავლო ბარათი, გაეცნოს საგანმანათლებლო პროგრამებს, სილაბუსებსა და საგნების სწავლების სპეციფიკას (წინაპირობებიდან და განსაკუთრებული მოთხოვნებიდან გამომდინარე), ასევე საშუალება ეძლევა ელექტრონულად აირჩიოს არჩევითი საგანი, დამატებითი (minor) პროგრამა, დავალიანებაში დარჩენილი ასათვისებელი საგანი. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ ისარგებლონ კორპორაციული ფოსტებით და მათი ყველა საშეღავათო პაკეტით, რომელიც მათთვის დარეგისტრირდება უნივერსიტეტში მათი რეგისტრაციის გავლის მომენტში. აღნიშნული ფოსტის საშუალებით სტუდენტს საშუალება აქვს მიიღოს ყველა ინფორმაცია, მათ შორის მისი აკადემიური მოსწრების შესახებ, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით პირადი კოდით, რომელიც ყველა სტუდენტს ეგზავნება ინდივიდუალურად და უზრუნველყოფს მის კონფიდენციალურობას. სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხდება ჯგუფის თანდასწრებით ღიად და გამჭვირვალედ. სტუდენტს უფლება აქვს გააპროტესტოს შედეგი (ელექტრონული დეკანატის შესაბამისი ფუნქციის გამოყენებით ან განცხადების შეტანით სტუდენტური სერვისების განყოფილებაში) და მოითხოვოს შესაბამისი ახსნა-განმარტება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო პროგრამა და სილაბუსები;
- ელექტრონული დეკანატის პლატფორმა;
- აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 სექტემბრის დადგენილება №5(17/18) „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანგარიშის შესწავლისა და ანალიზის, ასევე ადგილზე განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს, გამოიკვეთა ძირითადი სურათი ამ მიმართულებით. კერძოდ:

- საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ინდივიდუალური კონსულტაციებით პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან, სასწავლო კურსების ფარგლებში. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, ისევე როგორც ადმინისტრაციული პერსონალის დატვირთვა და ფუნქცია-მოვალეობები ითვალისწინებს სტუდენტთა კონსულტაციასა და მათთან ინდივიდუალურ მუშაობას. კონსულტაციების საათების განრიგი აკადემიურ პერსონალთან წინასწარ დგება და ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.
- საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ სრულფასოვნად ისარგებლონ უნივერსიტეტებში არსებული დასაქმებისა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებული სერვისებით. უნივერსიტეტში არსებობს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია სტუდენტებისთვის კარიერის დაგეგმვისა და დასაქმებისთვის აუცილებელი სოციალური და პრაქტიკული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე, მათთვის ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებაზე, დამსაქმებლებთან ურთიერთობაზე, განათლებისა და კარიერის სწორად დაგეგმვის შესახებ, და სხვ. კარიერული მხარდაჭერითა და სხვადასხვა ღონისძიებებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმირებით სარგებლობენ როგორც სტუდენტები, ასევე კურსდამთავრებულებიც.
- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ვებგვერდი [www.atsu.edu.ge], რომელზეც თავსდება ინფორმაცია უნივერსიტეტში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ, როგორცაა კონფერენციები, საჯარო ლექციები, გაცვლითი პროგრამები და სხვა. აპლიკაცია atsunews საშუალებით ეს ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის (ios, android). უნივერსიტეტში მოქმედებს კორპორაციული ფოსტა www.mail.atsu.edu.ge, სადაც პირველი კურსის სტუდენტს ჩარიცხვისთანავე არეგისტრირებს ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფის სამსახური. კორპორაციული ფოსტის საშუალებით სტუდენტებს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურებიდან მიეწოდებათ სათანადო ინფორმაცია.
- უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახურის ფარგლებში 2014 წლიდან ფუნქციონირებს სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციებია შრომის ბაზარზე ვაკანსიების მუდმივი მონიტორინგი და ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის, პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვა ურთიერთთანამშრომლობის მიზნით, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა და

ორგანიზება, სკოლების რესურს-ცენტრებისა და საბანკო სექტორის ხელმძღვანელებთან ერთად სხვადასხვა წამახალისებელი თუ საინფორმაციო ღონისძიებების, შეხვედრების მოწყობა სტუდენტთა და დამსაქმებელთა დაახლოებისა და მათ შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობის მიზნით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების, ასევე სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ. დასაქმების ხელშეწყობა, სტუდენტთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სემინარების ჩატარება (CV-ის შედგენა, სამოტივაციო წერილის დაწერა, გასაუბრებისათვის მოსამზადებელი კონსულტაცია). ქვეყანაში კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების გატარებისა და უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის შეიქმნა ონლაინ სწავლისთვის გზამკვლევები, ვიდეო რგოლები./ moodle.at su.edu.ge , teams.at su.edu.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები - პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; - პროგრამა და სილაბუსები; - უნივერსიტეტის ვებგვერდი; - ინტერვიუ სტუდენტებთან; - ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან; - სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური; - სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობა.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობა არის 16 მათ შორის პროფესორი - 4, ასოცირებული პროფესორი - 11 და 1 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობასთან. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი, ასევე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის ფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან (446 სტუდენტი) უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პედაგოგიური გამოცდილებით, მათ მიერ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული შრომებით, წიგნების/სახელმძღვანელოებზე მუშაობით, სამეცნიერო საგრანტო პროექტებში ჩართულობით, საერთაშორისო თანამშრომლობით და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი გამოცდილება და სამეცნიერო ნაშრომები. ისინი უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. მათ გააჩნიათ მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან და სამეცნიერო ინსტიტუტებთან, რაც კარგ საფუძველს წარმოადგენს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისათვის.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ განსაზღვრულ ფუნქციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;

• ყოველწლიური თვითშეფასება და სამეცნიერო ანგარიშები; • განმახორციელებელი პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები; • პროგრამის ხელმძღვანელის მოვალეობები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკადემიური პერსონალის შეფასება უნივერსიტეტის ეფექტური მუშაობის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია, რისთვისაც გამოიყენება სასწავლო წლის ფარგლებში წინასწარი ინდივიდუალური დატვირთვით განსაზღვრული სასწავლო და სამეცნიერო - მეთოდური საქმიანობის შეფასება. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო- მეთოდური მუშაობის დაგეგმილი დატვირთვის შესრულებას დოკუმენტურად ამოწმებს ფაკულტეტის დეკანატი, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რექტორის მოადგილე. მუდმივად ხდება საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი მონაცემების ელექტრონული ვერსიების შექმნა - განახლება. აკადემიური პერსონალის პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებისა და სწავლების კომპეტენციის შეფასებისათვის უნივერსიტეტში შემუშავებულია ლექციებზე ურთიერთდასწრების მექანიზმები წინასწარ შედგენილი ურთიერთდასწრების გრაფიკის შესაბამისად. ურთიერთდასწრება საშუალებას აძლევს აკადემიურ პერსონალს ერთმანეთს გაუზიარონ იდეები და მოწინავე გამოცდილება მიმდინარე სწავლა/სწავლების პროცესის თაობაზე. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი სისტემატიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის კონფერენციებში, სემინარებში, პროფესიულ და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. რასაც ხელს უწყობს ფაკულტეტის დეკანატი და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. გადრმავდა თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო პროგრამების მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებში; მათემატიკის დეპარტამენტში შექმნილია ხელშემწყობი პირობები ახალგაზრდა კადრების მოზიდვისა და პროფესიული განვითარებისათვის.

უნივერსიტეტში მათემატიკის მიმართულებით რეგულარულად ტარდება მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმები. 2018 წლის ივნისში მათემატიკის დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით: „ჯგუფები და ტოპოლოგიური ჯგუფები“; 2019 წლის ოქტომბერში ჩატარდა პროფესორ გიგლა ონიანის 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით: "ანალიზი და მომიჯნავე საკითხები" და სხვ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, დაიგეგმა და განხორციელდა შეხვედრების ციკლი პროგრამების ხელმძღვანელებისათვის, დეკანებისათვის, დეპარტამენტების ხელმძღვანელებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, შეფასების, გაუმჯობესების და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშების მომზადების კუთხით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალის CV; • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები; • უნივერსიტეტის ვებ გვერდი; • კონფერენციების ამსახველი მასალები; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებისათვის გამოიყენება უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა. უნივერსიტეტში არის ყველა პირობა პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის. საბაკალავრო პროგრამას ემსახურება უნივერსიტეტის IV კორპუსში მდებარე მათემატიკის დეპარტამენტი #4307, დეპარტამენტის ბიბლიოთეკა #4308 და სასწავლო აუდიტორიები #4301-4306, #4309, #4402 და #4403. სასწავლო პროცესის განსახორციელებლად სტუდენტს საშუალება აქვს აქტიურად გამოიყენოს: • დეპარტამენტის ბიბლიოთეკაში არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურა; საბაზო
--

მიმართულებაზე არსებული კომპიუტერული ტექნიკა; • უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი; როგორც სტუდენტებს ისე აკადემიურ პერსონალს შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკაში არსებული პერიოდული სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით. ასევე შესაძლებელია ბიბლიოთეკის საკმაოდ მდიდარ ელექტრონული წიგნთსაცავის ბაზებზე წვდომა. უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება მოხდა დისტანციურად, ისევე როგორც განხორციელდა სტუდენტთა მართვის სისტემისა და ელექტრონული ბიბლიოთეკის დათვალიერება ზუმის პლატფორმის საშუალებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოების/სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები; • ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის დამადასტურებელი დოკუმენტები; • დისტანციურად განხორციელებული დათვალიერების შედეგები; • ფაქტობრივი მდგომარეობა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის უზრუნველყოფისათვის საჭირო ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია ერთიან საუნივერსიტეტო ბიუჯეტში, პროგრამის საჭიროებების შესაბამისი ფორმით და ეკონომიკურად მიღწევადია. პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს როგორც სახელფასო ხარჯს, ასევე პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადმინისტრირების, გადასახადების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის და მოვლა-შენახვის, პროგრამისთვის საჭირო სპეციალური ლიტერატურის, დამხმარე სასწავლო მასალების, საბიბლიოთეკო რესურსის და პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სხვა გაუთვალისწინებელ ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის ბიუჯეტი; • პროგრამის ბიუჯეტი; • ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის ობიექტს წარმოადგენს სასწავლო პროგრამის შეფასება, სწავლების მეთოდოლოგიის დაგეგმვის, შემუშავების მწყობრი და დახვეწილი სისტემა. სასწავლო კურსების, სასწავლო პროცესის მიმდინარეობის უწყვეტი შეფასება.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციას“ (აკადემიური საბჭოს დადგენილება №49 (17/18), 09. 02. 2018), რომელიც ითვალისწინებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარებას ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით.

უნივერსიტეტში ხარისხის შიდა სისტემა ეფუძნება სამ ძირითად პოლიტიკას:

I. საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA;

II. კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE-QA;

III. მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA.

აკრედიტაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება ხდება EP-QA - საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შემადგენელი სამი პროცედურის მიხედვით:

1. EP-QA 1.1 საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურა;

2. EP-QA 1.2 საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცედურა;

3. EP-QA 1.3 მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მიმართულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებისაკენ ყველა რგოლის ეფექტური ჩართულობით. ამიტომ ის თანამშრომლობს სხვადასხვა დონის მმართველობასთან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის საბჭო, დეკანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი, სწავლა/სწავლისთვის და სამეცნიერო კვლევითი პროცესების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე ფუნქციების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულები.

ხარისხის მართვაში გამოყენებული PDCA-ციკლის მიდგომები მდგრადად დანერგილია

უნივერსიტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულების - ფაკულტეტების დონეზე. ფაკულტეტებზე მოქმედ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ყოველწლიურად შეიმუშავენ სამოქმედო გეგმებს, რომელიც ეფუძნება სწორედ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტს, მასში მოცემულ პროცედურებს და მექანიზმებს. ყოველწლიური სამოქმედო გეგმის მიხედვით, მიმდინარეობს სტუდენტთა ყოველ სემესტრული გამოკითხვა სასწავლო კურსების მიხედვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მონაცემთა ანალიზი და სწავლის და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება, სტუდენტებისა გამოკითხვა სწავლების პროცესის შეფასების მიზნით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ასევე შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ფორმა, რომელშიც მონაცემები არის დეტალიზებული და ორიენტირებულია რაოდენობრივ მონაცემებზე, რაც საშუალებას გვაძლევს მარტივად წარმოჩინდეს პროგრამის განვითარების დინამიკა და მოხდეს მისი სუსტი და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართულია როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი. შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტი ეფექტურად იყენებს შესაბამის ადამიანურ, საინფორმაციო და მატერიალურ რესურსებს. ადამიანური რესურსები წარმოდგენილია აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სახით. ამ კუთხით აღსანიშნავია აკადემიური პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ განათლების განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტობის მრავალწლიანი გამოცდილება, ასევე ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების უფროსები, რომელთა შესაძლებლობა გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შემოწმებისათვის და აკადემიური პერსონალის ტრენინგებისათვის. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მათემატიკა“ შიდა შეფასება გააკეთა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა თენგიზ კუპრაშვილმა. პროგრამის ხელმძღვანელის და თვითშეფასების ჯგუფის მიერ გათვალისწინებული იყო შიდა შეფასებით მიღებული შენიშვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დოკუმენტაცია; • დეპარტამენტის დოკუმენტაცია; • შიდა ექსპერტის დასკვნა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს. კერძოდ, მოცემული საბაკალავრო პროგრამის გარე შეფასების მიზნით პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და დიზაინის შემუშავებისა და დახვეწის პროცესში, გათვალისწინებული იყო როგორც დარგის ექსპერტის უკუკავშირი და შეფასება (გარე შეფასება განხორციელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაჭმადის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, პროფესორ ნინო ფარცვანიას მიერ), ასევე 2011 წელს აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გამოთქმული რეკომენდაცია და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის გარე შეფასების დოკუმენტი (პროფესორ ნანა ფარცვანიას შეფასება); • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA • საბაკალავრო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პროცესი მოიცავს ინფორმაციის სისტემურ შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს.

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და შეფასების პროცესი ხორციელდება მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურის მიხედვით შემდეგი აქტივობების/ღონისძიებების გამოყენებით:

- ძირითადი დაინტერესებული პირების (სტუდენტი, პედაგოგი, დამსაქმებელი, კურსდამთავრებული) გამოკითხვები;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი;
- პროგრამაში ჩართული პირების (აკადემიური, მოწვეული) განვითარების ანალიზი;
- კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაციის ანალიზი;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ანალიზი;
- ურთიერთდასწრების პროცესის ანალიზი.
- პროცედურაში განსაზღვრულია აღნიშნული აქტივობების/ღონისძიებების განხორციელების ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურები.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურა ითვალისწინებს უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვას, კერძოდ, ყოველი სემესტრის ბოლოს ხდება სტუდენტებისა და ლექტორ-მასწავლებლების, ორ წელიწადში ერთხელ დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვა. გამოკითხვებს წარმართავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამისი აკადემიური პროგრამის ხელმძღვანელი.

გამოკითხვებით მიღებული შედეგები და ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ემსახურება საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, აკადემიური პერსონალის მიერ სწავლების პოლიტიკის გადახედვას და სრულყოფას, გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთას და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვას.

უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას ასევე ანხორციელებს მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურა ითვალისწინებს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის განხორციელებას. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი სრულდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ყოველწელს აკეთებს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას დასაქმებასთან დაკავშირებით და მიღებული

შედეგების ანალიზით დგინდება რამდენად მოთხოვნადია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კურსდამთავრებული შრომის ბაზარზე. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისათვის გამოიყენება ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო მუშაობის შეფასების პოლიტიკა. ის ხორციელდება 2017 წლიდან აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებისათვის. აღნიშნული პოლიტიკა გამოიყენება სასწავლო პროცესის სრულყოფისა და გაუმჯობესებისათვის, მოქმედი პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის, ასევე მუდმივად ცვალებად გარემოსთან მათი შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დგება საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში, სადაც განიხილება პროგრამის განხორციელების სტატისტიკური მაჩვენებელი, პროგრამის განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონისძიებები, პროგრამის შიდა შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები, შესაბამისი ღონისძიებები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები, პრაქტიკა და სხვა აქტივობები. გაანალიზებულია საგანმანათლებლო პროგრამების როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები, საფრთხეები და განვითარების შესაძლებლობები. შიდა შეფასების საფუძველზე ხდება პროგრამის სრულყოფა და მოდიფიკაცია. მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის მონიტორინგი განხორციელდა მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცედურით განსაზღვრული აქტივობების/ღონისძიებების გამოყენებით. მონიტორინგით მიღებული შედეგების და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით მოხდა საბაკალავრო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-6 დონის საკვალიფიკაციო აღმწერთან შესაბამისობაში მოყვანა და რეაკრედიტაციისთვის მომზადება.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა- EP-QA • მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA • აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარი; • სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები; • სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ; • უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017, 2018 წლის ანგარიშები; • ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017, 2018 წლის ანგარიშები; • ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს ოქმები; • დეპარტამენტის სხდომის ოქმები. • შპს „ლუმენის“ მიერ ჩატარებული „შრომისა და განათლების ბაზრის კვლევა“; • ინტერვიუს შედეგები.	
რეკომენდაციები:	
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):	
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)	
შეფასება	

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
მათემატიკა, ბაკალავრიატი


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის


სახელი, გვარი, ხელმოწერა



/რომეო გალდავა/

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/გიორგი გიორგობიანი/

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/ქრისტინე ჩიხლაძე/

სახელი, გვარი, ხელმოწერა



/გიგი გიოშვილი/